

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**რეზო მარნაძე**

**თუმანიშვილების სათავადო**

**(XV-XIX სს.)**

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ თ ა ც ი ი ს მ ა ც ნ ე**

თბილისი – 2022

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – სადოქტორო პროგრამა: *საქართველოს ისტორია*

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:** ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა;** ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**

**ექსპერტები:**

**ლია ახალაძე** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ალექსანდრე ბოშიშვილი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

**ოფიციალური რეცენზენტები:**

**გონელი არახამია** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი;

**იოსებ ალიმბარაშვილი** – ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის **28 ივლისს, 14 საათზე** სსიპ – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სადისერტაციო საბჭოს* სხდომაზე – ონლაინ-რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით).

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის* ბიბლიოთეკაში – თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი: **ლია ახალაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** XV საუკუნის II ნახევრიდან საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. 1453 წლის 29 მაისს ოსმალეთის მიერ ბიზანტიის იმპერიის, ხოლო 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, ქვეყანა მაჰმადიანური სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა. გარეშე მტრების შემოსევებმა და შინაომებმა შეასუსტა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის, დაუძლურდა ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. აღნიშნული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ფეოდალური განკერძოების პროცესი გაღრმავდა. გაძლიერებულმა დიდებულებმა მეფის მიერ საგამგებლოდ მიცემული ადგილ-მამულები და თანამდებობები მემკვიდრეობით ჩაიგდეს ხელში.

ამდენად, XV საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულ საქართველოში აღმოცენებულ სათავადოებს შორის იყო *თუმანიშვილების სენიორია*. სათავადოთა სისტემა კიდევ უფრო ასუსტებდა პოლიტიკურად დაშლილ ქვეყანას და შეუძლებელს ხდიდა მის გაერთიანებას.

სენიორიების ისტორიის კვლევა მრავალმხრივ აქტუალურია და საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევასთან არის დაკავშირებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში თუმანიშვილების ფეოდალური სახლის შესახებ გვაქვს რამდენიმე მეცნიერის (*ანა ბაქრაძის, გულჩინა აკოფაშვილის, პროკოფი რატიანის, ზურაბ ცეციტიშვილის* და სხვ.) ნაშრომი, მაგრამ აღნიშნული სათავადო მონოგრაფიულად დღემდე არ შესწავლილა. სადისერტაციო ნაშრომს განსაკუთრებით აქტუალობას სძენს ის ფაქტი, რომ თუმანიშვილთა მამულების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, ამჟამად არსებულ საოკუპაციო ნაზთან ახლოსა.

**კვლევის ობიექტი.** წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქართლის ერთ-ერთი ფეოდალური სენიორიის – *თუმანიშვილთა სათავადოს* სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო.** მიუხედავად იმისა, რომ თუმანიშვილების საგვარეულოს ისტორიის კვლევას უფრო ადრეული პერიოდიდან ვიწყებთ, მისი, როგორც სათავადოს ჩამოყალიბება XV საუკუნეში ხდება, ამიტომ ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია XV ს. XIX ს. 50-60-იანი წლების დასაწყისში კლასობრივი ბრძოლა გაძლიერდა. ამ და სხვა გარემოებებმა XIX ს. 60-იან წლებში ბატონყმობისა და სათავადოთა სისტემის გაუქმება განაპირობა. მათ შორის, თუმანიშვილების სენიორიამაც არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, დისერტაციის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია XIX ს. შუა წლები.

**კვლევის მეთოდები.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში შემუშავებული კვლევის მეთოდებს, ესენია: ყოველმხრივობა, ობიექტურობა, სისტემატურობა, ისტორიულ-შედარებითი, ქრონოლოგიური, რეტროსპექტული, ლოგიკური, ანალიტიკური, სინქრონული, დიაქრონული, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

**კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე.** ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქართლში ჩამოყალიბებული თუმანიშვილების სათავადო მონოგრაფიულად დღემდე არ იყო შესწავლილი, თუმცა არსებობს ცალკეული სამეცნიერო შრომები, რომლებიც აღნიშნულ საგვარეულოსთან დაკავშირებულ კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევას ეხება. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს საკვლევი თემა შესწავლას მოითხოვდა. წარმოდგენილი ნაშრომი ამ და-

ნაკლისის შევსების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. იგი ემყარება ნარატიულ, დოკუმენტურ, ეპიგრაფიკულ, ზეპირსიტყვიერ წყაროებსა და საკითხის გარშემო არსებულ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას. ამასთანავე, ჩვენს მიერ დამოწმებული დოკუმენტური წყაროების დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ნაშრომში, მოძიებული წყაროების საფუძველზე დაზუსტებული, გამორკვეული, გაანალიზებული და შეფასებულია თუმანიშვილთა სათავადოს ისტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, კერძოდ:

1. **გაზიარებულია** ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება, რომ თუმანიშვილების გვარი წარმოიქმნა სახელიდან „თუმან“;
2. **უარყოფილია** შეხედულება თუმანიშვილთა გვარის, მამიკონიანთა და თუმანიანთაგან ჩამომავლობის შესახებ;
3. წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, **გამოთქმულია** საფუძვლიანი მოსაზრება, რომ თუმანიშვილები ქართლში ცხოვრობდნენ XI-XII საუკუნეებში. XV საუკუნეში საქართველოში სათავადოთა სისტემის აღმოცენებასთან ერთად, თუმანიშვილების სახლი გადაიქცა სათავადოდ, ხოლო XVII ს. დამდეგიდან მისი თანდათანობითი აღზევება მოხდა;
4. **დადგენილია** „სათუმანიშვილოს“ ყმა-მამულის მფლობელობის არეალი და **გაანალიზებულია** მისი ზრდა-კლების განმაპირობებელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები;
5. **გარკვეულია**, რომ თუმანიშვილების საფეოდალო წარმოადგენდა არატიპიურ სათავადოს ყმა-მამულის დაფანტული ფლობის თვალსაზრისით;

6. **წარმოჩენილია** „სათუმანიშვილოს“ ეკონომიკური განვითარების სურათი – სოფლის მეურნეობა, მე-ვახშეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა;
7. **გამორკვეულია** აღნიშნულ ფეოდალურ სახლში სასულიერო პირთა ვინაობა და მათი საქმიანობა;
8. **დაზუსტებულია** ქრისტეფორე თუმანიშვილის თბილელ-მიტროპოლიტად მოღვაწეობის ქრონოლოგია;
9. **გამოვლენილია** სოფელ ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა;
10. **პირველად გადმოცემულია** სათავადოს პოლიტიკური ისტორია, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებს ასახავს.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.**

წარმოდგენილი ნაშრომი დახმარებას გაუწევს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს. მასში გაანალიზებული მასალები და მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გვიან ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის კურსის გამართვისას.

**ნაშრომის სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 11 თავისა და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა და ილუსტრაციების დანართი.

**ნაშრომის აპრობაცია.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი წაკითხულ იქნა მოხსენების სახით სამეცნიერო კონფერენციაზე: „ისტორია, კულტურა, განათლება ინტერდისციპლინარული კვლევები“. ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა საერთაშორისო კონფერენცია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2020 წ. 23-24 დეკემბერი).

## დისერტაციის ძირითადი შინაარსი

**შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მისი შემდგომი კვლევის მიზანშეწონილობა. განსაზღვრულია საკითხის კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ფეოდალური ხანის საქართველოში სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბების მიზეზები: საგარეო პოლიტიკური ვითარების გაუარესების ფონზე მდგომარეობის გამწვავება ქვეყნის შიგნით, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. ყურადღება გამახვილებულია სათავადოების უარყოფით როლზე, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოს გაერთიანებას. აღნიშნულია, საქართველოში ჩამოყალიბებულ საფეოდალოებს შორის თუმანიშვილების სათავადოს სპეციფიურობის შესახებ. დასახელებულია თემის შესასწავლად გამოყენებული კვლევის მეთოდები.

**პირველ თავში** – „წყაროები და ისტორიოგრაფია“ – მოცემულია პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მოკლე მიმოხილვა. წყაროები. თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის შესახებ გარკვეული ცნობები დაცულია *სეხნია ჩხეიძის, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახუშტი ბაგრატიონის, ჰაპუნა ორბელიანის, იოანე ბაგრატიონისა* და სხვ. თხზულებებში. ნარატიული წყაროების სიმწირეს ავსებს ქართული ისტორიული დოკუმენტების სახით შემონახული მდიდარი მასალა, რომელიც დაცულია *საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საისტორიო ცენტრალური არქივისა და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის* ფონდებში. ასევე, ფრიად საინტერესოა ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცული ცნობები და ზეპირსიტყვიერი მასალა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, *ეჭთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავა-*

ნიშვილის, გიორგი გოზალიშვილის, ვლადიმერ ფუთურიძის, ნუგზარ ღუნღუასა და სხვა მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები. აღსანიშნავია, მამისა ბერძნიშვილის მიერ უშუალოდ თუმანიშვილების ფეოდალურ საგვარეულოსთან დაკავშირებით მოძიებული და გამოცემული ეპისტოლარული მასალები. საკვლევო საკითხის შესასწავლად საყურადღებოა „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ I, II, IV და V ტომები. XIX ს. თუმანიშვილთა შესახებ სხვადასხვა საკითხების გარკვევაში გვხვმარება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული „აქტებში“ გამოქვეყნებული მასალები.

ფრიად მნიშვნელოვანია „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი“, რომელშიც შესულია თუმანიშვილების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღწერილობა და ფოტომასალა. საკვლევო საკითხის შესახებ საყურადღებოა, შიდა ქართლში არსებული სიძველეების აღნუსხვის მიზნით გიორგი ბოჭორიძის მოგზაურობის ჩანაწერები.

თუმანიშვილების ყმა-მამულის მფლობელობის გარკვევისათვის ძვირფასი წყაროა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერა. საკითხის შესასწავლად საყურადღებო წყაროს წარმოადგენს „ოსმალობის“ პერიოდში შედგენილი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის დოკუმენტი – „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრი“.

საინტერესოა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართული ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნუსხა, რომელშიც თავადი თუმანიშვილი მოიხსენიება. აღნიშნული ფეოდალური სახლის წარმომადგენლების მოღვაწეობის, ოჯახის წევრთა ვინაობისა და რაოდენობის შესახებ ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის 40-იან წლებში შედგენილი ქართლ-კახეთის თავად-



აზნაურთა სია, რომელიც ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით არის გამოცემული.

*ისტორიოგრაფია.* ფეოდალური ურთიერთობებისა და სათავადოების კვლევის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია *სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, სარგის კაკაბაძის, ვალერიან გაბაშვილის, ვიქტორ გუჩუას, დავით გვრიტიშვილის, გივი ჯამბურიას, გულჩინა აკოფაშვილის, დერმიმა გოგოლაძის, ოლღა სოსელიას, ნოდარ ასათიანის, ელდარ მამისთვალიშვილის, გიორგი ოთხმეზურის, დავით ნინიძის, გიორგი სოსიაშვილის, შზია სურგულაძის, მიხეილ ბახტაძის, როლანდ თოფჩიშვილის, თამაზ გოგოლაძის, ალექსანდრე ბომბიშვილის, ზაზა ჭიას, მანანა მიჩიტაშვილისა და სხვათა ნაშრომები.*

ქართულ ისტორიოგრაფიაში თუმანიშვილების სათავადო, დღემდე არ იყო შესწავლილი, თუმცა, არსებობს ცალკეული სამეცნიერო შრომები, რომლებიც თუმანიშვილთა საგვარეულოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხების კვლევას ეხება. მათგან აღსანიშნავია: ანა ბაქრაძის, *გულჩინა აკოფაშვილის, პროკოფი რატიანის, მიხეილ ხელთუბნელის, ზურაბ ცეციტიშვილის, იასე ცინცაძის, ელენე მეტრეველის, იოსებ აღიშბარაშვილის, რუსუდან კამიას* შრომები. აღნიშნული საგვარეულოს შესახებ საყურადღებო და გასათვალისწინებელია: *ზაქარია ჭიჩინაძის, ნიკო ბერძენიშვილის, ელდარ მამისთვალიშვილის, კირილ თუმანოვის, ვალერიან მაჭარაძის, მაქსიმე ბერძენიშვილის, ნატო გენგიურის, დევი ბერძენიშვილის, თეიმურაზ ბერიძისა და დიანა ტერ-ბაღდასაროვის* შრომები. თუმანიშვილების საგვარეულო გერბის ნიმუშების თვალსაზრისით საინტერესოა *თორნიკე ასათიანის, გიორგი ზაგაშვილისა და მალხაზ ციბაძის* ნაშრომები.

**მეორე თავი:** „*თუმანიშვილების საგვარეულოს წარმომავლობა*“. თუმანიშვილთა გვარის წარმოშობის შესახებ ისტო-

რიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. მოკვლევული მასალების საფუძველზე დასაბუთებულია მათი სომხური წარმომავლობა. გვარების დიდი ნაწილი წარმოქმნილია წინაპრის სახელიდან. ნაშრომში გაზიარებულია ნიკო ბერძენიშვილის შეხედულება, რომ გვარი თუმანიშვილი მომდინარეობს სახელიდან „თუმან“. იოანე ბატონიშვილთან ნახსენები „სომეხი თუმანა“ უნდა ჩაითვალოს თუმანიშვილების წინაპრად, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, სათავე დაუდო საგვარეულოს. სადისერტაციო ნაშრომში უარყოფილია მოსაზრება თუმანიშვილების, სომხური გვარების – მამიკონიანთა და თუმანიანთაგან ჩამომავლობის შესახებ. ნ. ბერძენიშვილისა და ა. ბაქრაძის აზრით, თუმანიშვილების გვარი XIII-XIV სს. ქართლში ცხოვრობდა, ხოლო მ. ხელთუბნელის მოსაზრებით, ისინი საქართველოში გამოჩნდნენ არაუგვიანეს XIV საუკუნისა, თუმცა ჩვენს მიერ მოძიებული წყაროებით ეს გვარი საქართველოში დაახლოებით XI-XII საუკუნეებში უკვე მკვიდრობდა. რაც შეეხება დ. ციციშვილის ცნობას, რომ თუმანიშვილები „მთამოვიდნენ საათაბაგოდამ ოდეს მამადიან იქმნა საათაბაგო“, შესაძლებელია, იგი სამცხეში მცხოვრები თუმანიშვილების ქართლში მიგრირებას გულისხმობს, რომელიც ოსმალეთის მიერ სამცხის დაპყრობას უნდა გამოეწვია. წყაროების თანახმად, თუმანიშვილი და თუმანაშვილი პარალელური ფორმები არ არის, ეს უკანასკნელნი, გლეხები იყვნენ. თუმანიშვილთა გვარში გავრცელებული იყო გრიგორიანული, მართლმადიდებლური და კათოლიკური მრწამსი.

**მესამე თავში** – „თუმანიშვილების სათავადოს ჩამოყალიბება“ – გადმოცემულია აღნიშნული საფეოდალოს ფორმირების სოციალურ-პოლიტიკური წინაპირობები, რამაც გამოიწვია საქართველოში სათავადოების სისტემის აღმოცენება. დასუსტებულ სამეფო კარს ძალა არ ჰქონდა წინააღმდეგობა გაე-

წია დიდგვაროვნებისთვის, რომლებიც სამოხელეო თანამდებობებისა და ტერიტორიების სამემკვიდრეოდ გადაქცევას ცდილობდნენ. თუმანიშვილები, ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ქართლში მყარად დასახლებულები ჩანან, რადგან 1788 წლის საბუთში წერდნენ, რომ ქ. გორში მამულები და საგვარეულო ეკლესია ჰქონდათ 6-7 საუკუნით ადრე. XV საუკუნეში ქვეყანაში სათავადოთა სისტემის აღმოცენებასთან ერთად თუმანიშვილების ფეოდალური სახლი გადაიქცა სათავადოდ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა თავადთა ისეთი კატეგორია, რომელთაც სხვადასხვა ტერიტორიაზე ჰყავდათ გაფანტული კუთვნილი ყმა-გლეხები და შესაბამისად, ისინი იყვნენ თავადები სათავადოს გარეშე. ერთი შეხედვით, ასეთ თავადებად გვევლინებიან თუმანიშვილები, რომლებიც ყმა-მამულს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ფლობდნენ, თუმცა მათი სამფლობელოს სათავადოდ არ აღიარება ვფიქრობთ, მიუღებელია. ისეთი დიდი სენიორიებიც კი მაგ. *საამილახორო, ქსნის საერისთავო*, რომლებსაც ყმა-მამული ერთიან ტერიტორიაზე ჰქონდათ მოქცეული, ქონებას მეზობელ საფეოდალოებშიც ფლობდნენ. გაბნეული ყმა-მამულის (შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში) გამო, თუმანიშვილთა საფეოდალო არატიპიურ, მცირე სათავადოს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა ყველა ის მახასიათებელი ნიშანი, რაც მას სათავადოდ წარმოაჩენდა: თავდაცვითი ნაგებობა, არაერთი ეკლესია-მონასტერი, საძვალე, ყმა-მამული, მეურნეობა და სხვ.

თუმანიშვილების რეზიდენცია იყო შიდა ქართლში – სოფელ *ხელთუბანში*, საფორტიფიკაციო ნაგებობით (კოშკი ჰქონდათ ხვითშიც), რამდენიმე საგვარეულო ტაძრით. მათ ეკუთვნოდათ ქ. გორის ყოვლად წმინდა ეკლესია და სასახლეები ხელთუბანში, გორში, თბილისსა და ჯილიზაში. XVII საუკუნის

10-იანი წლებიდან ხდება თუმანიშვილების თანდათანობითი აღზევება და მათი სამფლობელოს გაფართოება. ქართლის გამაჰმადიანებული მმართველების ბაგრატ, სიმონ და როსტომ ხანისადმი კეთილგანწყობით საფუძველი ჩაეყარა თუმანიშვილთა სამამულო ფლობას ქვემო ქართლში. ისინი აქტიურად იქნდნენ ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლების მიერ გაყიდულ ყმა-მამულს. ნასყიდი ქონების სიმრავლე, მათ ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს.

**მეოთხე თავი:** „*თუმანიშვილების სათავადოს სოციალური მდგომარეობა*“, შედგება ორი პარაგრაფისაგან: 1. თავადი; 2. გლეხი.

§1. თავადი. ვახტანგ VI-ის სამართალზე დაყრდნობით, თუმანიშვილები საშუალო, ანუ მეორე ხარისხის თავადები იყვნენ. XVII საუკუნის შუა ხანებში თუმანიშვილთა გაყრის შედეგად ჩამოყალიბდა ამ საგვარეულოს სამი ძირითადი შტო (თაყა, ბირთველ, ჯიმშიტა). სათავადო სახლის წევრთა ურთიერთობა, მართვა-გამგეობა, ქონების განკარგვა ხორციელდებოდა სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული „*სახლის რიგის*“ საფუძველზე, რომელიც მყარი არ იყო, ხშირად ირღვეოდა და თავადიშვილთა უფლებები ილახებოდა. წარმოქმნილ დავაში სამეფო კარი ერეოდა და სამართალს წყვეტდა. თუმანიშვილების სათავადო სახლის წევრთა შორის ჩაგვრის აშკარად გამოხატული ტენდენცია იყო, უმწეო მდგომარეობაში მყოფი სახლიკაცები განიცდიდნენ ზეწოლას. ხშირი იყო მამულის, ღალის წართმევის შემთხვევები. დაუკითხავად ხდებოდა განაყოფთა მიერ სახასო მამულის გაყიდვა, რაც მწვავე დაპირისპირებას ქმნიდა თავადიშვილთა შორის. ამა თუ იმ სახლიკაცის ქონების ხელყოფა, თუმანიშვილთა სენიორიაში იწვევდა ქონებრივ უთანასწორობას. დაჩაგრული, ობოლი თავადიშვილები, ღარიბდებოდნენ და თავის გასატანად ქონებას

ყიდდნენ. ზოგჯერ, ისინი ყმა-მამულს ერთმანეთისაგან იძენდნენ. მათ სათავადოში გვხვდება დაშლილი ოჯახის ან საგვარეულოს კვლავ გაერთიანების შემთხვევები, რაც დამახასიათებელია ფეოდალიზმის ხანაში. თუმანიშვილები მათთან „შეკედლებული“, უმემკვიდრეოდ დარჩენილი თავიანთი სახლის წარმომადგენლების დანატოვარი ქონების მიღების ხარჯზე აფართოვებდნენ მამულს. თუმანიშვილებთან დაკავშირებულ საბუთებში ვხვდებით: „სახასო“, „სათავისთავო“, „საუფროსო“, „საშუალო“, „საუმცროსო“ საკუთრების ფორმებს.

§2. გლეხი. ნაშრომში შესწავლილია თუმანიშვილების სათავადოს გლეხთა სოციალური მდგომარეობა. მოძიებული დოკუმენტური წყაროების საფუძველზე აღნიშნულ საფეოდალოში ყმა-გლეხთა რამდენიმე კატეგორიას („მკვიდრი“, „ნასყიდი“, „ხიზანი“, „ბოგანო“, „ნებიერი“, „ნაწყალობევი“, „აზატი“ და სხვ.) ვხვდებით. თუმანიშვილები იძენდნენ ყმებს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. ისინი სხვადასხვა მებატონეებისგან ყიდულობდნენ მკვიდრ ყმებსაც, რომლებიც სათავადოში ინტენსიურ მეურნეობას ქმნიდნენ. თუმანიშვილები სამეფო კარის მიერ „ნაწყალობევი“ და სხვადასხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებისაგან ნაჩუქარი ყმების ხარჯზეც ზრდიდნენ საბატონო მეურნეობას. ასევე, ფლობდნენ „ბოგანო“ ყმებსაც, რომლებიც სოციალურად ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ. თუმანიშვილები ყმებს გარკვეული დამსახურების სანაცვლოდ ათავისუფლებდნენ საბატონო გადასახადისაგან, თუმცა გათარხნების შემთხვევები იშვიათია. ისინი ფლობდნენ „ნებიერ“ ანუ წყალობის ყმებსაც და ცდილობდნენ მათთვის კარგი პირობები შეექმნათ.

ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თუმანიშვილები დახმარებას უწევდნენ თავის გამოსხნაში მათთან შეკედლებულ ყმებს, სრული დაპატრონების მიზნით და შეწუხებუ-

ლები იყვნენ საკუთარ გლეხთა აყრა-გაქცევით, რაც დაკავშირებული იყო „ოსმალთა“-„ყიზილბაშობასთან“, „ლუკიანობასთან“, ყმათა ექსპლოატაციის დამძიმებასთან და სხვა მიზეზებთან. ყმათა აყრა-გაქცევა, თავდახსნა, ჩივილი, სათავადოში კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება იყო. მათ ყმა-გლეხობას დაკისრებული ჰქონდა ნატური, ფულადი, შრომითი საბატონო და სახელმწიფო გადასახადები, რაც გლეხს გაუსაძლის პირობებში ამყოფებდა. XIX ს. 50-60-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში აუტანელი გადასახადებისა და ბატონყმური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით გლეხობა ეწეოდა მასობრივ ანტიფეოდალურ ბრძოლას. ბატონყმობის გაუქმებადღე ყმა-გლეხთა პროტესტი განსაკუთრებით ძლიერი იყო გორის მაზრაში, სადაც მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა იყო. ბუნებრივია თუმანიშვილების სათავადოშიც ამგვარი მწვავე ვითარება იქნებოდა და მათ ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებისას, თავისთავად, ჩამოერთმეოდათ ყმები, ან შესაძლოა რეფორმამდელ პერიოდშიც, როცა არსებობდა სახელმწიფო ხაზინაზე ყმების დარიცხვის პრაქტიკა.

**მეხუთე თავი:** „თუმანიშვილების სათავადოს ეკონომიკური განვითარება“, შედგება სამი პარაგრაფისაგან: 1. სოფლის მეურნეობა; 2. მევახშეობა; 3. ვაჭრობა-ხელოსნობა.

პირველ პარაგრაფში შესწავლილია „სათუმანიშვილოს“ სოფლის მეურნეობა, რომელიც ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენდა. აღნიშნულ სათავადოში, დიდი ყურადღება ექცეოდა მიწათმოქმედებას, მოჰყავდათ სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ჭვავი, ფეტვი, ქერი. მათი მამულების ნაწილი განკუთვნილი იყო ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. XVIII ს. შუა ხანებში გორჯასპი მდივანმა თბილისში, სეიდაბადში, გააშენა ბაღი, სადაც ბოსტნეული მოჰყავდა. თუმანიშვილები მისდევდნენ: მეცხვა-

რობას, მეფუტკრობას, მეხილეობას, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მელვინეობას. ვენახები ჰქონდათ: ატენში, რეხაში, ახალდაბაში, წოდორეთში და სხვ. ისინი ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე, აწესრიგებდნენ ირიგაციის საქმეს. თუმანიშვილების საკუთრებაში იყო წისქვილები: გორში, ხელთუბანში, ბერდიკში, რეხაში, ბერბუკში და სხვ. პირველი ცნობა მათ შესახებ დასტურდება XVII ს. შუა ხანებში.

მეორე პარაგრაფში – *მევახშეობა* – შესწავლილია თუმანიშვილების საკრედიტო საქმიანობა. ისინი XVII საუკუნიდან სამევენახეო ოპერაციებით იყვნენ დაინტერესებულები. თუმანიშვილებმა გვიან ფეოდალურ ხანაში „კაპიტალის დაბანდების“ პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს. მოკვლეული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის ათეულობით წევრი მევენახე იყო. ისინი მევენახეობდნენ ეკლესიის ქონებითაც და აღმოსავლეთ საქართველოში იმდენად ძლიერი კრედიტორები იყვნენ, რომ მათთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ სამეფო სახლის წარმომადგენლებს, ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას, სავაჭრო ამხანაგობის წევრებს და სხვ. სამევენახეო ოპერაციები ხორციელდებოდა თუმანიშვილების ოჯახის წევრთა შორისაც.

თუმანიშვილებთან საპროცენტო განაკვეთი ბევრად დაბალი იყო, რაც მათდამი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. დოკუმენტებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ზოგჯერ, მევენახეები მათ თამასუქით განსაზღვრულ ვალს ვერ/არ უბრუნებდნენ, რაც დავის საგანი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში თუმანიშვილთა საკუთრებაში გადადიოდა მევენახეების დაგირავებული ქონება. ამ გზით მათ დიდი ქონების ხელში ჩაგდება მოახერხეს. ისინი მონეტის დევალვაციის საფრთხის გამო, გასესხებული თანხის დაკარგვისაგან თავს იზღვევდნენ და თამასუ-

ქებს აფორმებდნენ ე.წ. „ვერცხლის დათქმით“, რაც მათ წინდახედულ კრედიტორობაზე მიანიშნებს.

§3. ვაჭრობა-ხელოსნობა. თუმანიშვილები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაინტერესებულები იყვნენ სავაჭრო ოპერაციებით. ისინი XVIII ს. II ნახევარში მსხვილი ფინანსური არისტოკრატის რიგებში მოექცნენ და ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ. ამ სფეროში წარმატებულები იყვნენ გორჯასპი, მანუჩარ და სულხან თუმანიშვილები, რომლებიც ქმნიდნენ და მართავდნენ „სავაჭრო ამხანაგობებს“. მათ მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ: საქართველოს, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ოსმალეთისა და რუსეთის ქალაქებთან. ვაჭრობდნენ: საფეიქრო ნაწარმით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ღვინით, მარცვლეული კულტურებით, პურიით, ნიგვზით და XIX საუკუნის დასაწყისიდან სპილენძითაც. XVIII საუკუნეში თუმანიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები ოზურგეთში გადასახლდნენ და XIX საუკუნეში დიდი წვლილი შეიტანეს გურიამი ვაჭრობის სფეროს გამოცოცხლების საქმეში. აღნიშნულ საფეოდალოში ხელოსნობა კარგად განვითარებული უნდა ყოფილიყო და ხელოსნებიც მრავლად უნდა ჰყოლოდათ, თუმცა ამის შესახებ ცნობები მწირია. მოძიებული მასალების საფუძველზე თუმანიშვილების სათავადოში სხვადასხვა ხელობის/საქმის მცოდნე გლეხებს ვხვდებით: მჭედელი, ხარაზი, ხურო, ხარატი, დალაქი, ფეიქარი.

**მეექვსე თავში** – „თუმანიშვილების სათავადოს მართვა-გამგეობა“ – შესწავლილია „სათუმანიშვილოს“ სამოხელეო აპარატი. საქართველოში ყველა სათავადოს, მართვა-გამგეობის საკუთარი სისტემა გააჩნდა. კვლევის პროცესში ჩვენს მიერ მოკვლეული წყაროების მონაცემების საფუძველზე, აღნიშნულ



საფეოდალოში გვხვდება: *ქეთხუდა, ნაცვალი, მამასახლისი, მსახური*. სავარაუდოდ, თუმანიშვილების სახლს, სხვა სათავადოების მსგავსად, სამართავად სხვა მოხელეებიც უნდა ჰყოლოდა.

**მეშვილე თავი:** „*თუმანიშვილები – სასულიერო მოღვაწენი*“. თუმანიშვილთა ფეოდალური სახლის რამდენიმე წევრი სასულიერო პირი იყო: *ფარსედ/ფარისედ* – 1612 წ. საბუთით, გრიგორიანული სარწმუნოების საეკლესიო მოღვაწე იყო, რადგან *ტერ-ფარსედად* მოიხსენიება, ხოლო 1645 წლის დოკუმენტში მთავარეპისკოპოსის წოდებით (თუმცა, არა *ტერ-ფარსედად*); მღვდელმონაზონი *სპირიდონ იოსების ძე*, რომელმაც 1809 წ. საკუთარი ყმა-მამული თავის ძმებს მისცა; მღვდელი *ნიკოლოზ ზაქარიას ძე*, რომელიც XIX ს. 40-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნუსხაშია შეტანილი; *ანტონი* – კათოლიკე სასულიერო პირი, რომელიც ცხოვრობდა ვენეციაში, შემდეგ რომში, სადაც სწავლის დასრულებისთანავე აკურთხეს „*ლათინის ტიპიკონით*“. ანტონი მოღვაწეობდა ვენეციაში, კონსტანტინოპოლში, ტრაპიზონში, ყირიმში, საბოლოოდ საქართველოში და 1860 წელს გარდაიცვალა; *ქრისტეფორე* თბილელ-მიტროპოლიტი, რომელიც თავისი აქტიური საქმიანობით გამოირჩეოდა. იგი 1719 წელს ბერად შედგა და თბილელობამდე *მროველის* (რუისის ეპისკოპოსის) თანამდებობა ეკავა. ჩვენს მიერ დადგენილია მისი თბილელად ყოფნის წლები (1752-1770 წწ.). მან 1763 წ. სოფ. ხელთუბანში წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია ააგო, რომლის საადმშენებლო წარწერამ დღემდე მოაღწია, ხოლო ტაძარმა ნანგრევების სახით.

**მერვე თავი:** „*თუმანიშვილების ურთიერთობა სხვა წარჩინებულ საგვარეულოებთან*“. სათავადოს მიზნები მიმართული იყო სამფლობელოს გაფართოებისაკენ, რაც უმთავრესად მეზობლად მდებარე სენიორიათა მამულების მითვისების ხარჯზე ხდებოდა. აღნიშნული ტენდენცია უმეტესად ორმხრივი

ხასიათის იყო, თუმცა თუმანიშვილების შემთხვევაში ცალმხრივად ჩანს, რადგან ისინი არ იყვნენ ორიენტირებულები მოსაზღვრედ არსებული მამულების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებაზე. კარგი ფინანსური შეძლებიდან გამომდინარე, თუმანიშვილები სამართლებრივი ფორმით, ფეოდალებისაგან იძენდნენ (ხანდახან ცვლიდნენ) ყმა-მამულს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. მათთვის მთავარი იყო ეკონომიკურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელიც ქონებას ყიდდა. ზოგჯერ, თუმანიშვილები, მათი ყმა-გლეხები, იდგნენ ფეოდალთა მხრიდან სხვადასხვა სახით გამოვლენილი ძალმომრეობის რისკის ქვეშ, რასაც მოხერხებულად უპირისპირებდნენ სასამართლოს, სამეფო კარს და სამართალსაც აღწევდნენ. ამა თუ იმ დიდგვაროვანთან თუმანიშვილების უთანხმოება ეხებოდა: ყმა-მამულს, გამოსაღებს, სარწყავ რუს და სხვა ყოფით საკითხებს.

**მეცხრე თავში:** „*თუმანიშვილების ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან*“ – ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თუმანიშვილების ჩართულობაზე. ისინი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ გაწონასწორებულ ლოიალურ დამოკიდებულებას თითქმის ყველა მეფესთან, რის საფუძველზეც წარმატებით ახერხებდნენ ყმა-მამულის რაოდენობის გაზრდას. მეფეების მიმართ ერთგულების დასტურად ისინი სამეფო კარზე სხვადასხვა სახელოთი გვევლინებიან: *მდივანთუხუცესი, მდივან-მწიგნობართ-უხუცესი, მდივან-მწიგნობარი, მდივანბეგი, ვაზირი, ნაზირი, მორდალი, მეჰმანდარბაში, მერიქიფეთუხუცესი, მერიქიფე, ყაფიჩი, მოურავი, თავლიდარი, ყული, იასული, ლაშქარნივისი, ფეშქაშნივისი* და სხვ. თუმანიშვილები რეაქციონერ თავადთა რიგებში არ იყვნენ, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება, მათთვის სოფ. ტი-

ნისხიდის, რეხის, ატენური მამულების ჩამორთმევა, რაც უდავოდ იწვევს ეჭვს, რომ სამეფო ხელისუფლებისადმი თუმანიშვილების მხრიდან განდგომას ჰქონდა ადგილი.

**მეათე თავში** – „*რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში და თუმანიშვილების საგვარეულო*“ – გაანალიზებულია თუმანიშვილთა დამოკიდებულება რუსული კოლონიური პოლიტიკის მიმართ. იმპერატორ *ალექსანდრე I*-ის 1803 წ. 11 ნოემბრის ბრძანებით, იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი *ალექსანდრე ბატონიშვილისათვის* მხარდაჭერის გამო, ზაალ და ფარსია თუმანიშვილებს ქონება ჩამოერთვათ. აღნიშნული საგვარეულო სახლის წევრთა უმეტესობა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მომხრე იყო და საქართველოს ანექსიისთანავე ისინი რუსეთის მმართველობის სამსახურში ჩადგნენ. საიმპერატორო კარმა იულონ, ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილების ნაქონი ყმა-მამულიც ყოფილ ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილს მიაბარა სამართავად. თუმანიშვილთა ნაწილი იმდენად დიდ ერთგულებას იჩენდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ, რომ დავით ბატონიშვილი 1805 წელს დაქინებით მოითხოვდა მათი საქართველოდან რუსეთში გადასახლებას, რასაც საქართველოს სიმშვიდისთვის აუცილებლობით ხსნიდა. იმპერიისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას თუმანიშვილების მიერ მიღებული სხვადასხვა სახის რუსული სამოქალაქო და სამხედრო წოდებებიც მოწმობს: „*გუბერნსკი სეკრეტარი*“, „*კოლეგიის სეკრეტარი*“, „*კოლეგიის სოვეტნიკი*“, „*კოლეგიის ასესორი*“, „*ტიტულარნი სოვეტნიკი*“, „*ნადვორნი სოვეტნიკი*“, „*კოლეჟსკი რელისტრატორი*“, „*ზასედატელი პრაპორშჩიკი*“, „*მაიორი*“, „*პოდპორუჩიკი*“, „*პორუჩიკი*“, „*პრაპორშჩიკი*“, „*კაპიტანი*“, „*გენერალი*“ და სხვ.

**მეთერთმეტე თავში** – „*თუმანიშვილების სათავადოს პოლიტიკური ისტორია XVIII-XIX სს*“. – გადმოცემულია „*სათუმანი*

შვილოს“ პოლიტიკური წარსული, რომელიც მოკვლეული მასალების საფუძველზე XVIII-XIX საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებს ასახავს. აღნიშნულ სენიორიას მძიმე ტვირთად აწვა „ლეკიანობა“. ლეკთა მარბიელი თავდასხმის ობიექტი ხშირად იყო მათი სამკვიდრო სოფლები, ძირითადად კი ხელთუბანი. ლეკების შემოსევების შედეგად, ზიანდებოდა თუმანიშვილთა საფორტიფიკაციო ნაგებობები და ზარალდებოდა მათი ყმა-გლეხობა. ზოგჯერ, ლეკები უშუალოდ თავად თუმანიშვილებსაც ატყვევებდნენ. 1799 წელს ლეკთა ჯარისათვის მისაცემი ფულის შოვნის მოტივით გიორგი XII-ის ბრძანებით თუმანიშვილები აიკლეს. თუმანიშვილებს დიდი ზიანი მიაყენა 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ, რა დროსაც გადაიწვა მათი სახლები თბილისში და განადგურდა უამრავი ძვირფასი წიგნი, ხელნაწერი და სხვ. ისინი მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში, თუმცა მასში უნებლიედ იყვნენ ჩართულები. რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართული არისტოკრატის ერთ-ერთ მძლავრ გამოსვლას, თუმანიშვილები მხარს ნაკლებად უჭერდნენ.

**დასკვნა.** დისერტაციის დასკვნით ნაწილში ასახულია ჩვენი კვლევის ძირითადი შედეგები. აქვე წარმოდგენილია თუმანიშვილების ფეოდალურ სახლთან დაკავშირებული საილუსტრაციო მასალა.

**სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებულია  
სტატიები:**

1. **სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან  
თუმანიშვილების სათავადოში. (გლუხები).** –  
2021, გვ. 45-59  
([http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/126/95\\_](http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/126/95_));
2. **თუმანიშვილების სამეფავშეო საქმიანობა XVII ს.  
60-იან-XIX ს. 30-იან წლებში.** – *ისტორია, არქეო-  
ლოგია, ეთნოლოგია*. საერთაშორისო  
რეცენზირებადი ჟურნალი, #6, 2021, გვ. 200-218  
(<http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/184/153>);
3. **„სახლისკაცობის რიგი“ XVIII ს. თუმანიშვილების  
სათავადოში. სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და  
სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,  
ტომი XIX, 2020-2021, გვ. 76-85 (იბეჭდება)**

**SOKHUMI STATE UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES**

*With the right of manuscript*

**REZO MARNADZE**

**NOBLE OF THE TUMANISHVILIS  
(15<sup>th</sup>-19<sup>th</sup> century)**

**Herald of dissertation presentation to obtain academic  
degree of Doctor of history (Ph.D)**

Tbilisi – 2022

The dissertation is completed on Sokhumi State University, Faculty of Humanities – Doctoral Program: *History of Georgia*

***Scientific supervisors:***

**Bezhan Khorava**, Ph.D. in History, Associate Professor of Sokhumi State University;

**Giorgi Sosiashvili**, Ph.D. in History, Professor of Gori State Teaching University.

***Experts:***

**Lia Akhaladze** – Ph.D. in History, Associated Professor of the Sokhumi State University;

**Alexander Boshishvili**, Ph.D. in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

***Official reviewers:***

**Goneli Arakhamia** – Doctor of Historical Sciences, Professor of the University of Georgia;

**Ioseb Alimbarashvili** – Ph.D in History, Assistant Professor of Gori State Teaching University

The defending of Dissertation will take place on **28 of July 2022, 14:00** at LEPL – *Sokhumi State University Board of Faculty of Humanities dissertation council of History* – Online (using Zoom). The dissertation can be viewed in the library of Sokhumi State University. Address: Tbilisi *Ana Politkovskaya* str. # 61.

Secretary of Council: **Lia Akhaladze**, Ph.D. in History, Associated Professor of the Sokhumi State University.

## GENERAL DESCRIPTION OF THE PAPER

**Relevance of the topic.** Georgia has been in a difficult situation since the second half of the 15<sup>th</sup> century. After the conquest of the Byzantine Empire by the Ottomans on May 29, 1453, and the Trabzon Empire in 1461, the country was surrounded by Muslim states. Foreign invasions and homelessness weakened trade and economic ties between different regions of Georgia, weakened the central government, and anarchy swept the country. Due to the background of these political and socio-economic changes, the process of feudal segregation deepened. Enhanced nobles inherited the lands and positions given to them by the king. Thus, among the nobility that emerged in politically and economically weakened Georgia in the 15<sup>th</sup> century was the seniority of *Tumanishvilis*. The system of nobility further weakened the politically divided country and made it impossible to unite it.

